საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/54

ქ. ბათუმი 08 მაისი, 2023 წ.

ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 0 23 0000468435, 28.04.2023) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე **2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო პროცესი** (სალექციო/სააუდიტორიო სამუშაოები) ე.წ. მე-12 ნაკადისთვის წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

1.1. **შემოდგომის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2023 წლის 23 ოქტომბერს** და **დასრულდეს 2024 წლის 10 თებერვალს**;

ბ) სტუდენტთა **აკადემიური რეგისტრაცია** დაიწყოს 2023 წლის 09 ოქტომბერს და დასრულდეს 21 ოქტომბერს (<u>აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები</u> (მათ შორის განსხვავებული ვადების) და სხვა საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ გამოიცეს რექტორის ბრძანება);

გ) საშობაო არდადეგები - 2023 წლის 30 დეკემბრიდან 2024 წლის 07 იანვრის ჩათვლით;

დ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2024 წლის 12 თებერვლიდან 02 მარტის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2024 წლის 04 მარტიდან 09 მარტის ჩათვლით.

1.2. **გაზაფხულის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი **დაიწყოს 2024 წლის 18 მარტს და დასრულდეს 29 ივნისს;**

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2024 წლის 11 მარტს და დასრულდეს 16 მარტს;

გ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2024 წლის 01 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2024 წლის 22 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით;

2. ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან **(ინგლისურენოვანი)** საგანმანათლებლო პროგრამზე სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ ლაბორატორიული სამუშაო) ჩატარდეს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება), ფაკულტეტზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად (აკადემიური საათი განისაზღვრება 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი/შესვენება - 10 წუთით).

2. დადგენილება ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან **(ინგლისურენოვანი)** საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს ინგლისურენოვან ვებგვერდზე, ხოლო შესაბამისმა ფაკულტეტმა უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტთა ინფორმირება.

3. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრულ 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში გამოიცეს ბსუ-ს რექტორის ბრძანება.

4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს (დეკანს, დეკანის ოფისს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს), რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, თარჯიმანს (ნანა მაზმიშვილს), იურიდიულ დეპარტამენტს და სასწავლო პროცესის დეპარტამენტს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**